



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 277

ქალაქი ქუთაისი 29 ივნისი 2016 წელი

„თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის № 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №37 /რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი: 222/ და ლოტი № 38 /რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი: 223/ თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას  
თან ერთვის/

**მუხლი 2.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

## ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

## ლოტი № 37

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y	
	№ 222	ტროტუარი	03.03.21.540	წერეთლის ქუჩა №1-3-ის დასავლეთით	310727,372	4682339,358	ორმხრივი

**შენიშვნა:** № 37 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე თითოეული სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ + 2,60 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 0,75 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 2,60 მ. სიგრძეს. ხოლო სიგარე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 0,25 მ.-ს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

## ლოტი № 38

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		ფართობი კვ.მ.	შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y		
	№ 223	არასაცხოვრებელი ფართის კედელი	03.03.01.259	ფალიაშვილის ქუჩა და რუსთაველის გამზირი № 2/8			6,0X10=60 კვ.მ.	ცალმხრივი

**შენიშვნა:** № 38 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე, თითოეული სარეკლამო საშუალება უნდა მოეწყოს არასაცხოვრებელი ფართის კედელზე მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ + 2,8 მ.-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 10,0 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 6,0 მ. სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.